

## სამაგისტრო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე „დიზაინი“ სწავლის მსურველთათვის.

სამაგისტრო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე „დიზაინი“ სწავლის მსურველებს (აპლიკანტებს) ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ ევალებათ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩააბარონ სამაგისტრო სასპეციალიზაციო გამოცდა ქვემოთ ჩამოთვლილი სამი დისციპლინიდან ერთ-ერთში: ხატვა ან კომპიუტერული მოდელირება ან გრაფიკული რედაქტირება.

**სამაგისტრო სასპეციალიზაციო საგამოცდო მოთხოვნები:**

### 1. ხატვა

გამოცდაზე აპლიკანტს ევალება ხელით შეასრულოს მარტივი გეომეტრიული ფორმებით შედგენილი კომპოზიციის ნახატი, რომლის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. კომპოზიციური განაწილება კონსტრუქცია
2. ფორმათა აგებულება
3. სივრცულობა, პერსპექტივა სიღრმის ილუზია
4. ფორმა, მოცულობა სამგანზომილებიანი ეფექტის იმიტაცია გრაფიკული ხერხებით
5. მხატვრული შესრულების ოსტატობა

გრაფიკული ნამუშევარი შესრულებული უნდა იქნეს ფანქარში A3 ფორმატის თეთრ ქაღალდის ფურცელზე. აპლიკანტმა გამოცდაზე თან უნდა იქონიოს ყველა საჭირო მასალა.

### 2. კომპიუტერული მოდელირება

აპლიკანტს გამოცდაზე ევალება:

1. **ორგანზომილებიანი** ციფრული გამოსახულების შექმნა წინასწარ მისთვის მიცემული ანაზომის/ნახაზის მიხედვით, შესაბამისი ზომების და ანოტაციების დატანით.

სამუშაო პროგრამები: **Autocad, AutoCAD Architecture, ARCHICAD, REVIT.**

2. ობიექტის (შენობა, ინტერიერი, ავეჯი, სამრეწველო პროდუქტი) **სამგანზომილებიანი** მოდელის შექმნა ზომების და პროპორციების გათვალისწინებით, წინასწარ მისთვის მიცემული ნახაზების ან სურათების მიხედვით.

სამუშაო პროგრამები: **Autodesk 3ds Max, Blender, SketchUp** ან ნებისმიერი სხვა 3D მოდელირების პროგრამა.

### 3. გრაფიკული რედაქტირება

აპლიკანტს გამოცდაზე ევალება წინასწარ მისთვის მიცემული ფოტოს დამუშავება (ფერის კორექცია, კონტრასტების და განათების რეგულირება და სხვა) და ფოტომანიპულაციების შესრულება (ფოტოების შეერთება, ამოჭრა, ჩასმა, ინტერნეტში ტექსტურების მოძიება და მოცემულ ფოტოში მათი გამოყენება).

ის აპლიკანტები, რომლებიც სასპეციალიზაციო გამოცდას აბარებენ კომპიუტერულ მოდელირებასა და გრაფიკულ რედაქტირებაში, ვალდებულნი არიან გამოცდაზე მოიტანონ საკუთარი ლეპტოპები, რომელშიც ჩატვირთული იქნება მათ მიერ არჩეული საგამოცდო დავალების შესასრულებლად საჭირო კომპიუტერული პროგრამები.